გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მედია მფლობელთა ფინანსური გამჭირვალობის მნიშვნელობის შესახებ

27 სექტემბერი, 2019 წელი

სადამკვირვებლო ორგანიზაცია CDD წლებია დემოკრატიული პროცესების განვითარების და რიგი საკანონმდელო პროცედურების დახვეწის კუთხით აქტიურად მუშაობს. ამ კუთხით, აღნიშნული განცხადებით გვსურს, გამოვეხმაუროთ მედიის მფლობელთა ფინანსური გამჭვირვალობის მნიშვნელობას:

„მედიის მფლობელთა ფინანსური გამჭვირვალობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში. მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ ვინ დგას მედია საშუალებების უკან და ვის პოლიტიკურ თუ ბიზნეს ინტერესს ემსახურებიან.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ახლად დაფუძნებული მედია საშუალებებისთვის, შესაბამისი სიხშირისა და ლიცენზიის მისაღებად დამფუძნებლებმა უნდა წარმოადგინონ არა მხოლოდ ადმინისტრაციული საქმის წარმოებისთვის საჭირო ყველა შესაბამისი დოკუმენტი, არამედ ინფორმაცია დამფუძნებლების აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ, ასევე მნიშვნელოვანი წილის მქონე პარტნიორ/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაციები.

ჩვენი შეფასებით, აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია რელევანტურია და იძლევა შესაძლებლობას მედიასაშუალების დაფუძნებისას ინფორმაცია, თუ ვის მიერ ხდება მისი დაფუძნება, იყოს გამჭვირვალე.

თუმცა პროცედურები, რაც დაკავშირებულია წილების დათმობასა თუ გასხვისებასთან დახვეწას საჭიროებს.

მიუხედავად დღეს არსებული რეგულაციებისა, მაინც არსებობს კანონმდებლობით დაურეგულირებელი პროცედურა, რომელიც თავს იჩენს მედიის დამფუძნებელთა წილების გასხვისების პროცესში. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უკვე შემდგომ ეტაპზე მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში იმავე სტანდარტის გამოყენებას და გამჭირვალობის იმავე ხარისხს, რომელსაც ის ითხოვს დაფუძნების ეტაპზე. ამ შემთხვევაში, როგორც თავდაპირველი რეგისტრაციის დროს, არ მოითხოვება ინფორმაცია დამფუძნებლების/ახალი მფლობელების აქტივების, საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ. წილის გასხვისების დროს კანონმდებლობის თანახმად მოითხოვება მხოლოდ „შესაბამისობის დეკლარაცია", რომელიც შეიცავს საკმაოდ მწირ ინფორმაციას მედიის მფლობელთა შესახებ, რაც გარკვეულწილად საზოგადოებაში კითხვებს აჩენს.

საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, ვინც ფლობს ამა თუ იმ მედიასაშუალებას და თუ ვინ ასოცირდება მათთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მედიის მფლობელთა შესახებ და მათი შემოსავლების გამჭვირვალობის ვალდებულებას არა მხოლოდ თავდაპირველი ლიცენზიის მიღების მომენტში, არამედ მესაკუთრეთა/შემდგომი ცვლილებების შემთხვევაშიც (ორგანიზაციის წილის გასხვისება). აღნიშნული ვალდებულება ხელს შეუწყობს როგორც მედიის მფლობელთა შემოსავლების გამჭირვალობას, ასევე საზოგადოების თვალში მედიის ნდობის ხარისხის ამაღლებას. აუდიტორიას ექნება შესაძლებლობა ნათლად დაინახოს და შეაფასოს სარედაქციო პოლიტიკა, გაშუქებული ინფორმაციის ობიექტურობა და სანდოობა, ჰქონდეს სრული ინფორმაცია, თუ რას ემსახურება ამა თუ იმ მედიასაშუალების საქმიანობა, არის ეს საზოგადოების თუ ერთი კონკრეტული ძალის, ბიზნესისა თუ პოლიტიკური პარტიის ინტერესი, რაც, ვფიქრობთ, თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყანაში მედია გარემოს გაუმჯობესებს."